ჩვენი საქმე

უცხოეთში მცხოვრებ თანამემამულეებთან კულტურული კავშირის საქართველოს საზოგადოების გამოცემა

№ 22 (327) გამოცემის მე-17 წელი

1973 წლის ნოემბერი

„სამშობლო“ მიესალმება წითელწყაროელ შრომისა და გარჯის დიდოსტატებს!




ზემომაჩხაანელ მწყემსს, ლენინის ორდენოსან ნოდარ ჯანაშვილს დედა და ბალღები გზას ულოცავენ.



ზემოქედელთა საბავშვო ბაღში...



ზემომაჩხაანელთა ცოცხალი ბარაქა



არბოშიკელთა კალო

იოსებ დავითაშვილისა და სერგო თევზაძის ფოტოები.

მშვიდობის წარმომადგენლობა თბილისში

მშვიდობისმოყვარე ძალების მოსკოვის მსოფლიო კონგრესმა მუშაობა დაამთავრა, მაგრამ მშვიდობის დამცველთა ამ დიდი წარმომადგენლობითი ფორუმის ეჩო მთელ პლანეტას მოედო.

პირველი ნოემბერს მშვიდობისმოყვარე ძალების მსოფლიო კონგრესის 40-ზე მეტი მონაწილე ჩამოვიდა საქართველოს დედაქალაქში. ესენი არიან კენიის, კამბოჯის, ლესოტოს, გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის, ჯანადის, საბერძნეთის, რეიუნიონის კუნძულის, დემოკრატიული ახალგაზრდობის მსოფლიო ორგანიზაციის, სტუდენტთა საერთაშორისო კავშირისა და ახალგაზრდა სოციალისტთა საერთაშორისო კავშირის წარმომადგენლები.

2 ნოემბერს მშვიდობის წარმომადგენლები სტუმრად იყვნენ თბილისის ჯიროვის სახელობის ჩარხსაშენებელ ქარხანასა და კონიაკის ქარხანაში, სადაც მათ უაღრესად გულთბილად შეხვდნენ. ფორუმის მონაწილეებს შესაძლებლობა ჰქონდათ თვალნათლივ დარწმუნებულიყვნენ, რომ აღმშენებლობითი შრომით დასაჭედბულ საქართველოს მშრომელებს თავიანთი წვლილი შეაქვთ ხალხთა მშვიდობის განმტკიცების საქმეში, მხურვალედ უჭერენ მხარს მსოფლიო კონგრესის გადაწყვეტილებებს.

სტუმრებმა საქართველოში ხუთი დღე დაჰყვეს. მათ დაათვალიერეს რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის მიღწევათა გამოფენა, საქართველოს საოფლო-სამეურნეო ინსტიტუტი და ამ ინსტიტუტის დიდმის საცდელ-სასწავლო მეურნეობა, გაეცანენ წარმატებებს კულტურის დარგში, შეხვდნენ საზოგადოებრიობის წარმომადგენლებს.



საქართველოს კომპოზიტორთა V ყრილობა

17 ნოემბერს დიდი სიმფონიური კონცერტით გაიხსნა საქართველოს კომპოზიტორთა V ყრილობა. ფილარმონიის დიდ საკონცერტო დარბაზში ამ დღეს შესრულდა ქართველ კომპოზიტორთა ახალი ნაწარმოებები. შესრულებული იყო საქართველოს სსრ სახალხო არტისტის შალვა მშველიძის მეოთხე სიმფონია. ყრილობის მონაწილეებმა და სტუმრებმა, მრავალრიცხოვანმა მსმენელებმა გულთბილად მიიღეს სამშობლოს ეს დიდებული საგალობელი.

გურული ხალხური ჰანგები დაედო საფუძვლად რესპუბლიკის სახალხო არტისტის კომპოზიტორ ოთარ თაქთაქიშვილის კანტატას „გურული სიმღერები“, რომელიც დიდი წარმატებით შესრულდა იუნესკოსთან არსებული საერთაშორისო მუსიკალური საბჭოს კონცერტზე მოსკოვში და სპეციალისტთა და მსმენელთა უმაღლესი შეფასება დაიმსახურა. დირიჟორის პულტთან იდგა ოთარ თაქთაქიშვილი.

სსრ კავშირის სახალხო არტისტმა ალექსი მაჭავარიანმა წარმოადგინა თავისი ახალი ნამუშევარი — მეორე სიმფონია, რომელსაც მსმენელები გულთბილად შეხვდნენ.

ყრილობის პირველ კონცერტს დაესწრნენ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანი ვიქტორია სირაძე, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის კულტურის განყოფილების გამგე ნიკოლოზ ჩერქეზიშვილი, საქართველოს კომპარტიის თბილისის კომიტეტის მდივანი სერგო რიგვავა.

ყრილობის მუშაობის მეორე დღე მიეძღვნა საბავშვო მუსიკას. კონსერვატორიის მცირე დარბაზში შესრულდა სულხან ცინცაძის კონცერტი ჩელოსათვის, ნოდარ მამისაშვილის კონცერტი ფორტეპიანოსათვის, ირაკლი გეჯაძის კონცერტი ვიოლინოსათვის. გივი ციციშვილის საგიოლინო პიესები, ალექსანდრე შავერზაშვილის საკვარტეტო მინიატურები, რამაზ ჭარუხნიშვილის კანტატა, მზია დიაკვნიშვილის სონატინა, ლილი შავერზაშვილის საბავშვო პიესების ციკლი ჯანსუღ ჩარკვიანის ლექსებზე. ისინი შეასრულეს ქალაქ თბილისის საშუალო სპეციალური მუსიკალური სკოლის მოსწავლეებმა, ბავშვთა მხატვრული აღზრდის საქალაქო სახლის გუნდმა.

იმავე დღეს უჩვენეს სულხან ცინცაძის ოპერა „განდეგილი“ და ბიძინა კვერნაძის ბალეტი „ბერიკაობა“.

კომპოზიტორთა ყრილობა განაგრძობს მუშაობას.

ვიეტნამელი სპეციალისტები მახარაძეში

სამ თვეს იმყოფებოდა მახარაძეში ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის ჩაის წარმოების 20 მუშაკი, ახალგაზრდა სპეციალისტები. ვიეტნამელი სტუმრები პრაქტიკულ მეცადინეობას გადიოდნენ მახარაძის № 1 ჩაის ფაბრიკაში. საწარმოო პრაქტიკულ მუშაობასთან ერთად სპეციალურ საგნებში კვების მრეწველობის ტექნიკუმში მეცადინეობდნენ.

მახარაძელებმა გულთბილი ზრუნველობა გაუწიეს ვიეტნამელ მეგობრებს. ამ დღეებში ვიეტნამელები თავიანთ სამშობლოში გაემგზავრნენ, წასვლის წინ ვიეტნამელთა ხელმძღვანელმა, ვიეტნამის ჩაის ფაბრიკის დირექტორმა გუენ ვან თხომ განაცხადა:

— საქართველოში თავს ისე ვგრძნობდით, როგორც მშობლიური ვიეტნამის ცის ქვეშ, უსაზღვროა ჩვენი მადლობა ძმური უურადღებისა და დახმარებისათვის.

რადიო-დივერსანტები

ამას წინათ პრემიერად იყო ნაჩვენები დოკუმენტური სატელევიზიო ფილმი „რადიოდივერსანტები“, რომელიც შექმნა შემოქმედებითმა გაერთიანებამ „ეკრანმა“. ამ ფილმში მზის სინათლეზეა გამოტანილი მიუნხენში განლაგებული ამერიკული რადიოსადგურების „თავისუფლებისა“ და „თავისუფალი ევროპის“ ძირგამომთხრელი ანტისოციალისტური საქმიანობა.

ფილმმა საბჭოთა მაყურებლის დიდი ინტერესი გამოიწვია თავისი მამტკიცებლობით, ფაქტიური მასალის სიმდიდრით, რაც ნათლად გვიჩვენებს იმას, თუ როგორ ცდილობენ რადიოდივერსანტები შეაჩერონ დროის მსვლელობა.

კადრში — „რადიოსადგურ „თავისუფლების“ პოლიტიკურ გადაცემათა ორგანიზაციის ხელმძღვანელობა“ 1971 წლის 15 მარტისთვის, რომელსაც ახლავს ხელმოწერა „რადიო „თავისუფლების“ კომიტეტის“ პრეზიდენტის ჰოფლენდა სარჟენტისა, წარსულში ამერიკელი დიპლომატის და იუნესკოს მოდვაწისა, ამჟამად კი ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოს კაცისა, ცინიკური გულახდილობით არის გამომლაგებული საბჭოთა ხალხების საწინააღმდეგო იდეოლოგიური დივერსიის მიზნები, მეთოდები და ილეთები.

მიზანი — „შეიცვალოს არსებული საბჭოთა სისტემა“, „დაუბრუნდეს საბჭოთა ხალხი ექსპლოატაციურ წყობილებას „ნეოკაპიტალიზმის“ მიძალებით“; საშუალებანი—„გარედან ინსპირირებული „ძალადობის აქციები“, „დასავლეთით წარმართული „იდეათა თანდათანობითი ევოლუცია“; ტაქტიკა — „უბიძგოს რადიომსმენელს საბჭოთა ხელისუფლების საწინააღმდეგო დანაშაულზე, თვითონ კი ჩრდილში მოექცეს“; მეთოდები—„გამოიყენოს ილეთი „შინ შესული სტუმრისა“, „მიუყაროს საჭირო იდეები და ინფორმაციები“.

ფილმი დამაჯერებლად უჩვენებს მაყურებელს, რომ ხელსაწყოებად, რომელთა დახმარებითაც რადიოდივერსანტები ჩვენი სახლის კარის შემომტვრევას ლამობენ, შერჩეულია შპიონაჟი და ნაციონალიზმი.

ფილმში თანმიმდევრულად მეღავნდება რადიოდივერსანტთა ფალსიფიკატორული მეთოდები და ილეთები.

ერთ-ერთ გადაცემაში რადიოსადგურმა „თავისუფლებამ“, მაგალითად, ჩართო თურქეთის მოქალაქის თავხანის ნაამბობი მოგზაურობის შესახებ ძმასთან, რომელიც საბჭოთა დაღესტანში ცხოვრობს. ამ გადაცემაში ნათქვამი იყო ცუდი ცხოვრების შესახებ აულ ხაჯალ-მახში. იქაური მკვიდრთ გადაცემის ავტორები თანაუგრძნობდნენ, ბრალს დებდნენ რუსებს.

ის იყო ცილისწამება. ხაჯალმახელებს კარგად ახსოვთ, რომ თავხანი აღფრთოვანებული იყო აულში ნანახით, კეთილად შურდა თანასოფლელთა სიმდიდრე, მათი სულიერი ყოფის მაღალი დონე. სტიქიურად თავმოყრილ საკრებულოზე აქაურებმა გულისწყრომით უკუაგდეს ცილისწამება. მალე კოლმეურნეობაში მოვიდა თავხანის ხმოვანი წერილი, რომლითაც ის აცხადებს, რომ არაფერი მსგავსი „თავისუფლების“ ავანჩავნებისათვის მას არ უთქვამს და ჰგმობს ფალსიფიკატორებს.

აი სხვა მაგალითიც. „თავისუფლების“ სომხური რედაქციის მოთავე ლევონ მკრტჩიანი, რომელიც თავის თავს ასაღებს „სომხური კულტურის ქომაგად“, ბრალს სდებდა ერევნის მატერნადარანის თანამშრომლებს უძველესი ხელნაწერების უნიათოდ შენახვაში, კომუნისტებს კი — იმაში, რომ მოსპეს უძვირფასესი ხელნაწერები. ამის საფუძველზე იგი მოუწოდებდა საზღვარგარეთელ სომხებს თავი შეეკავებინათ საბჭოთა სომხეთისათვის ხელთნაწერების ძღვნად გადაცემისგან.

მაგრამ რა გამოირკვა? მატენადარანი — მსოფლიოში უკეთესი საცავია სომხური ხელთნაწერებისა, კომუნისტები აქ აწარმოებენ სერიოზულ მეცნიერულ მუშაობას მათ სარესტავრაციოდ და შესასწავლად.

არის ფილმში ამგვარი ეპიზოდიც. ალმა-ათის რადიოს სოლისტის ნუსიპჯანოვის შეცვლაში მოგზაურობის დროს მასთან მივიდა ახალგაზრდა ყაზახი. იგი წარუდგა როგორც თანამემამულე, რომელიც სამშობლოზე ნაღვლობდა, უთხრა, რომ მუშაობს სტოკჰოლმის ქარხანაში, ეკითხებოდა საბჭოთა ყაზახეთში ცხოვრების ამბებს. მისი შეკითხვები იყო გულუბრყვილო და დასავლეთის პროპაგანდით იყვნენ ხელდებულნი. და უცებ იგი ალაპარაკდა დასავლეთის ცხოვრების „უპირატესობებზე“. სიტყვაც კი გადაუკრა, რომ თუ ნუსიპჯანოვი იქ დარჩებოდა, ისიც ამ „ბედნიერი ცხოვრებით“ განებივრდებოდა.

მოგვიანებით ნუსიპჯანოვმა ჰოტელში თვალი მოჰკრა რადიოსადგურ „თავისუფლების“ სარეკლამო პლაკატს, რომელიც წინდახედულად, მაგრამ გაუფრთხილებლად „დარჩენოდა“ ვიღაცას ვესტიბიულში. მასზე გამოსახული იყო ის ახალი ნაცნობიც, იგი აღმოჩნდა „თავისუფლების“ თანამშრომელი, მისი ერთ-ერთი „მენახირე“, რომელთაც დავალებული აქვთ კაპიტალისტურ ქვეყნებში ჩასული საბჭოთა მოქალაქეები წააქეზონ დასავლეთში გადახვეწაზე.

ამგვარი ეპიზოდები ფილმში ცოტა როდია. ისინი ააშკარავებენ რადიოდივერსანტებისა და იმათ ჭეშმარიტ ზრახვებს, ვინც მათ მიღმა იმალება. ზოგჯერ „ბედაც უმართლებთ“ — ვიღაც ირწმუნებს მათ მოთავფლულ ლაქლაქს კაპიტალისტური „სამოთხის“ შესახებ, თავს გააბრიყვებინებს და მათ ფარას მიადგება, როგორც ეს დაემართა ვიქტორ შიშელიაკინსა და უნგრელ ზოლტან კოვაჩს.

რით დამთავრდა მათი ამბავი?

ვიქტორი შინ დაბრუნდა. „სამოთხეში და უკან“ სირბილმა ცხოვრების რვა წელიწადი დააკარგვინა. ეს იყო ხტიალისა და დამცირების საშინელი წლები. სამშობლომ აპატია თავგზააბნეულ შვილს და დღეს ის მის სასიკეთოდ შრომობს. დაკარგულს კი ვეღარ აღიდგენს. მისი აქ არყოფნის მანძილზე მისმა თანატოლებმა მიიღეს განათლება — საშუალო, სპეციალური და უმაღლესიც, თავიანთი საქმის ოსტატებად დადგნენ, შექმნეს ოჯახები. ის კი დარჩა თავისი ჭაბუკლასიანი განათლების ამარა, უსპეციალობოდ, უოჯახოდ. ყველაფერს თავიდან იწყებს.

ზოლტანს კი სულაც ტრაგედია ხვდა წილად. საშოვრის ძებნაში მან ამერიკულ არმიაში ამოჰყო თავი და სიკვდილი ერგო ვიეტნამთან გამართულ ომში. „რისთვის დაიღუპა ჩემი შვილი“ — მოთქმით კითხულობს დედამისი. მას სინდისი ქენჯნის, რადგან თავის დროზე არად ჩააგდო ვაჟიშვილის მიერ რადიოსადგურ „თავისუფალი ევროპის“ გადაცემათა მოსმენა.

რადიოსადგურებში „თავისუფლება“ და „თავისუფალი ევროპა“ ყველა ხელმძღვანელ პოსტზე სხედან აშშ ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოს კადრის მზვერავები, ისეთები, როგორიც არის ინფორმაციის მრჩეველი რობერტ რედლიხი, ადმინისტრატორი რიჩარდ კონდონი, პოლიტიკური განყოფილების შეფი ვან დერ როერი, ზბიგნიუ შტუმპფი კავაჯიის განყოფილებიდან, რობერტ დრეიერი და სხვანი.

სწორედ ესენი აღვიძებენ რედაქციების შპიონურ-დივერსიულ საქმიანობას, ინსტრუქციებს აძლევენ „მენახირეებს“, რადიოსადგურებისათვის არჩევენ კადრებს. იმათში, ვინც რადიოდივერსანტებს ემსახურება, არიან სოციალისტური ქვეყნების, მათ შორის საბჭოთა კავშირის, მოღალატენი, ამ ხალხების ნაძირალები. საკმარისია დავასახელოთ თუნდაც რამდენიმე იმათგანი, ვინც ფილმში არიან გამომჟღავნებულნი.

დიდი სამამულო ომის წლებში ვარაზდატ შაუნი შეფ-პოლიციაი იყო საბჭოთა სამხედრო ტყვეების ბანაკში, მსახურობდა ჰიტლერელების მიერ შექმნილ სომხურ ლეგიონში, მოუწოდებდა საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ საბრძოლველად, გამოაქვეყნა ბროშურა სახელწოდებით „მე — ბოლშევიზმის მტერი“.

ჯარის კაპიტანი თანამშრომლობდა გესტაპოსთან. იყო ერთ-ერთი მესვეური ნაციონალისტური „თურქესტანის კომიტეტისა“. მისი პოლიტიკური კredo. — „ჩემი მეგობრები— საბჭოთა ხალხის მტრები“. ჰიტლერიზმის გამარჯვების შემთხვევაში ოცნებობდა სათავეში ჩასდგომოდა მითოლოგიურ სახელმწიფოს „დიდი თურქმენეთი“.

ილია კუჭუხიძე ნებაყოფლობით ჩაჰბარდა ფაშისტებს, სამსახურად ჩადგა ვერმახტის ჭართულ ლეგიონში, მოუწოდებდა საბრძოლველად საქართველოში მეფისა და თავადების ხელისუფლების აღდგენისათვის.

ღარიბ სულთანი ომის დროს ჰიტლერელებთან გადაბობღდა, იყო გესტაპოს მსტოვარი და ერთ-ერთი „ლიდერი“ ნაციონალისტური კომიტეტისა „იდელ-ურალი“. მოუწოდებდა ბურჟუაზიული ფაშისტური გერმანიის პროტექტორატის ქვეშ მყოფი სახელმწიფოს „იდელ-ურალის“ შექმნისაკენ. ღალატით გაყიდა თავისი პოეტი-გმირი მუსა ჯალილი.

ყველა ამ მოღალატეს ერთიანებს არა მარტო დანაშაულებრივი წარსული, არამედ შესაბამისად მომდევნო აწმყოც. ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოს მზვერავებთან ერთად ისინი ცდილობენ ჭაუა დაარიგონ საბჭოთა ადამიანებს, ასწავლონ ცხოვრება და საბჭოთა ხალხების სახელითაც კი გამოდიან, რადიოსადგურებს „თავისუფლებასა“ და „თავისუფალ ევროპას“ წარმოადგენენ როგორც „სოციალისტური ქვეყნების მოქალაქეთა ხმებს“.

მსოფლიოში დაძაბულობის შენელების მოწინააღმდეგეთ ამერიკის კონგრესიდან არა თუ ერთი თქვეს ამ „ხმების“ გამოყენებაზე თავიანთი ბინძური მიზნებისათვის, არამედ გააჯერეს კიდეც მათი დაფინანსება, რისთვისაც გამოყვეს 50,3 მილიონი დოლარი .

მაგრამ სულ უფრო ხშირად გაისმის საღი გონებით ნაკარნახევი ხმები: „თავიდან მოვიცილოთ „ცივი ომის“ მემკვიდრეები!“ ეს ხმები სრული ძალით გაისმის ტელეეკრანებიდან და ადამიანთა სულებს ეუფლებიან.

ჯარლ ჰეინც ხასენი, ფედერაციული გერმანიის ბუნდესტაგის დეპუტატი: „თავისუფალი ევროპა“ — „ცივი ომის“ პირმშოა... ჩვენს დროში სადგურის თვით არსებობაც კი აბსურდია“.

არნო ბერიში, ფედერაციული გერმანიის თვალსაჩინო მოღვაწე: „ფედერაციული გერმანიის ტერიტორიაზე ამ ამერიკული სადივერსიო-პროპაგანდისტული ცენტრების არსებობა ეწინააღმდეგება მისი კონსტიტუციის შესავალსა და 26-ე მუხლს“.

ფულბრაიტი, ამერიკის სენატის უცხოეთის საქმეთა კომისიის თავმჯდომარე: „ეს რადიოსადგურები წარმოადგენენ ანაქრონიზმს, ჩვენ გამბედაობა უნდა გამოვიჩინოთ და ვაღიაროთ, რომ მათ თავიანთი დრო მოუჭამეს. მე მომაჩნია, რომ მათ უნდა საშუალება მივცეთ ღირსეული ადგილი დაიკავონ „ცივი ომის“ ნაშთების სასაფლაოზე“.

ჯ. იურიევი

ალავლობის გზაზე

დღევანდელი წითელწყაროს რაიონის ტერიტორია ძველად მჭიდროდ ყოფილა დასახლებული, განსაკუთრებით ალაზნისა და ივრისპირეთის მიდამოებში. ამას მოწმობს არქეოლოგიური გათხრები, რაც წლების განმავლობაში მიმდინარეობს. მტერთა განუწყვეტელი შემოსევების გამო მოსახლეობის ნაწილი ამოიჟლიტა, ნაწილი სხვაგან გადაიხვეწა. ამიტომაც საქართველოს ეს განაპირა მხარე რამდენადმე მეჩხერად იყო დასახლებული წინა საუკუნეებში.

საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვებამდე რაიონის სოფლები განიცდიდნენ უწყლობას, უგზოობას და უტყეობას. თვით წითელწყაროში, რომელსაც წინათ თუქურმიშა ეწოდებოდა, რამდენიმე ჩალით დახურული ქოხმახი იდგა. გაუვალი ტალახი და სიბინძურე, შიმშილი და სიღატაკე სტანჯავდა აქაურ მკვიდრს.

სიღარიბეში ცხოვრობდნენ ცხრაასიან წლებში ვაჟა-ფშაველას მოთაობით ჩამოსახლებული მთიელებიც, რომლებიც ცხოვრების უკეთესი პირობების ძებნაში შირაქის ველზე დასახლდნენ, მიწები მიიზომეს, მაგრამ მიწის დამუშავება პრიმიტიულად, ძნელ პირობებში წარმოებდა და გლეხკაცის ოფლი და გარჯა ხშირად ამაო იყო.

საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვებისათვის ბრძოლები რომ გაჩაღდა, წითელწყაროელი მშრომელები ერთერთი პირველები აღსდგნენ ახალი წყობილების დამყარებისათვის საბრძოლველად — შირაქიდან დაიწყო საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვებისათვის ბრძოლა.

საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვებისათვის ბრძოლაში გმირულად დაცემულ მეომართა პატივსაცემად გამარჯვების ყოველ წლისთავზე ადგილობრივი მკვიდრნი თაიგულებით ამკობენ იმათ სამახსოვრო ადგილებს, ვინც სისხლი დაღვარა საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების გასამარჯვებლად.

პირველ წლებში გლეხობას ჯერაც უჭირდა. ვ. ი. ლენინმა პროგრესის საშუალებად დასახა გზა წვრილი, დაქსაქსული ერთპიროვნული მეურნეობიდან მსხვილ კოლექტიურ მეურნეობებში გადასვლისა.

1925 წელს სოფელ ზემოქედში კობა ჩოხელის ინიციატივით ჩამოყალიბდა სასოფლო-სამეურნეო კომუნა, რომელშიც თავდაპირველად 13 კომლი გაერთიანდა. თავმჯდომარედ კობა ჩოხელი აირჩიეს, შეიმუშავეს წესდება და გაერთიანება იწყეს ოჯახებმა, რომლებმაც ერთად შეაჯერეს თავიანთი უძრავ-მოძრავი ქონება.

კოლექტიური მეურნეობები შეიქმნა სოფელ მირზაანში, არბოშიგში, არხილოსკალოში... წვრილი კოლმეურნეობები თანდათან გამსხვილდა, შეიქმნა მძლავრი მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, რომელზეც განმტკიცდნენ დღევანდელი კოლმეურნეობები — ქართული სოფლის სვავისა და ბარაქის საფუძვლები.

ამჟამად წითელწყაროს რაიონში 11 გამსხვილებული კოლმეურნეობა, ერთი საბჭოთა მეურნეობა და ერთი საკოლმეურნეო-ბათაშორისო სამშენებლო საბჭოა. 1972 წელს რაიონის კოლმეურნეობათა ფულადმა შემოსავალმა 24.315 ათასი მანეთი შეადგინა, 1964 წელს კი იგი 9,7 მილიონ მანეთს უდრიდა. 1972 წელს ფულადი შემოსავალი 1964 წელთან შედარებით 2,5-ჯერ გაიზარდა. 1972 წლისათვის კოლმეურნეობათა განუყოფელმა ფონდმა 50 მილიონი მანეთი შეადგინა.

კოლექტივიზაციის პირველ წლებში რაიონში 10-12 ტრაქტორი ითვლებოდა, უფრო მოგვიანებით მიიღეს რამდენიმე კომბაინი. 1972 წელს რაიონის კოლმეურნეობათა სატრაქტორო პარკი ითვლიდა ყველა სახის 490 ტრაქტორს, 200 კომბაინს, ასობით გუთანს, სათესს, ფარცხს, კულტივატორს და სხვა სასოფლო-სამეურნეო მანქანა-იარაღს.

კოლმეურნეობების განკარგულებაშია 51 ათასი ჰექტარი სახნავი ფართობი. მიწათმოქმედების მაღალი კულტურის შედეგად ყოველწლიურად იზრდება სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოსავლიანობა. ოცდაათიან წლებში ჰექტარზე 10-12 ცენტნერი მარცვლეული მაღალ მოსავლად ითვლებოდა, მოწინავე მეურნეობები და ბრიგადები კი 15 ცენტნერი მოსავლისათვის იბრძოდნენ. უკანასკნელ წლებში 10-15 ცენტნერი ყველაზე დაბალ მოსავლად ითვლება.

1965 წელს თავთავიანი მარცვლეული კულტურების მოსავლიანობა რაიონში შეადგენდა 10,4 ცენტნერს, 1970 წელს — 14,4 ცენტნერს, 1971 წელს — 16,8 ცენტნერს, 1972 წელს — 26,8 ცენტნერს, ხოლო 1973 წელს წითელწყაროელმა მხვნელ-მთესველებმა არნახული მოსავალი მოიყვანეს — ჰექტარზე 32 ცენტნერი.

წითელწყაროელმა მხვნელ-მთესველებმა მეცხრე ხუთწლედის მესამე, გადამწყვეტ წელიწადს აწარმოეს 82 ათას ტონაზე მეტი მარცვალი ვალდებულებით ნაკისრი 75 ათასი ტონის ნაცვლად, 13.525 ტონა მზესუმზირა — ნაცვლად 9.500 ტონისა. რაიონის კოლმეურნეობებმა სახელმწიფოს მიჰყიდეს 42 ათასი ტონა მარცვალი გეგმიური 20 ათასისა და ვალდებულებით გათვალისწინებული 30 ათასი ტონის ნაცვლად, 10.150 ტონა მზესუმზირა — ნაცვლად 6.700 ტონისა.

უხვი მოსავლის მიღება გაპირობებულია რაიონის მხვნელ-მთესველთა ენერგიული და თავდადებული შრომით. წარმოებაში გაბედულად ინერგება ტექნიკის სიახლენი და მეცნიერების უახლესი მიღწევები, რუსეთისა და სხვა მოძმე რესპუბლიკების მოწინავე კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების მდიდარი გამოცდილება. დროულად და ხარისხიანად ტარდება სვნა, თესვა, თესვის შემდგომი დამუშავება, მინერალური სასუქების შეტანა და შხამქიმიკატებით მავნებელ-ავადმყოფობათა წინააღმდეგ ბრძოლა. უხვი მოსავლის მიღებაში დიდი როლი შეასრულა ხორბლის ახალმა ჯიშმა „კავკაზმა“, რომელიც მესამე წელია წარმატებით ითესება რაიონში და საუკეთესო შედეგებს იძლევა.

უხვი მოსავლის მიღებაში დიდი წვლილი მიუძღვით რაიონის სახელოვან მექანიზატორებს, რომლებიც, ჩაბმული ბრიან რა სრულიად საკავშირო სოციალისტურ შეჯიბრებაში, მნიშვნელოვან წარმატებებს აღწევენ. მთელს რესპუბლიკაშია ცნობილი ზემოქედის კოლმეურნეობის მექანიზატორი, სოციალისტური შრომის გმირი ნიკოლოზ მელიქიშვილი, ბრიგადირები ტორები ნასყიდა მკერვალიძე, ქოთილა ყვავლაიძე, რევაზ ჩიტაური, მიხეილ ლალიაშვილი, ზემომაჩხაანელი ფარნაოზ ქადაგიძე, ჯემალ ბენაშვილი, მიხეილ უზუნაშვილი, წითელწყაროელი ვლადიმერ კაკალაშვილი, ალექსანდრე რიაბოვი, ქვემოქედელი შალვა აზოვი, მიხეილ ხუცურაული და სხვები.

წინათ ვენახის ხსენებაც არ იყო რაიონში, მერე დამხმარე დარგი იყო და მცირე ხვედრითი წილი ჰქონდა რაიონის ეკონომიკაში. უკანასკნელ წლებში ეს დარგი სწრაფად გაიზარდა და ერთ-ერთი წამყვანი ადგილი მოიპოვა. ვენახების ფართობმა 2.000 ჰექტარს გადააჭარბა.

ყურძნის მოსავალმა წელს გაგვახარა. რაიონის მევენახეებმა ენერგიული და თავდადებული შრომით სძლიეს ბუნების სტიქიას, დაღუპვას გადაარჩინეს მოყინული ჯაზები და ყველა სამუშაოს თანმიმდევრულად და ხარისხიანად ჩატარების შედეგად ყურძნის მაღალი მოსავალი მოიწიეს. კოლმეურნეობათა მევენახეებმა 12 ათასი ტონა ყურძენი მიჰყიდეს სახელმწიფოს და გეგმიური დავალება ორმაგად შეასრულეს.

სახელმწიფოსათვის ყურძნის მიყიდვაში თავისი სიტყვა თქვა რაიონის მოსახლეობამ. სოფლის მშრომელებმა სახელმწიფოს ასობით ტონა ყურძენი მიჰყიდეს.

მარცვლეულთან ერთად რაიონის ძირითადი დარგია მეცხოველეობა. საკმარისია ითქვას, რომ კოლმეურნეობებში ამ დარგიდან მიღებული ფულადი შემოსავალი მთელი ფულადი შემოსავლის ნახევარს შეადგენს. რაიონში ითვლება 24.300 სული მსხვილი რქოსანი პირუტყვი, 28.235 სული ღორი, 172.345 სული ცხვარი, 386.550 ფრთა ფრინველი.

მეცხოველეობას რაიონში მდიდარი ტრადიციები აქვს. ჯერ კიდევ ადრევე მისდევდნენ აქ პირუტყვისა და ფრინველის მოშენებას, თუმცა ეს პროცესი სტიქიურად მიმდინარეობდა. მხოლოდ საბჭოთა ხელისუფლების დამყარებისა და კოლექტივიზაციის განხორციელების შემდეგ მოხდა რაიონში საზოგადოებრივი მეცხოველეობის ნამდვილი აღმავლობა.

გასულ, 1972 წელს მეცხოველეობიდან მიღებულმა შემოსავალმა 12.951 ათასი მანეთი შეადგინა.

1972-1973 წლების ზამთრის პერიოდში მეცხოველეობის პროდუქტების წარმოებისა და დამზადების გადიდებისათვის მეცხოველეობის მუშაკთა სრულიად საკავშირო სოციალისტურ შეჯიბრებაში გამარჯვებული გამოვიდა წითელწყაროს რაიონი, რომელიც დაჯილდოვდა სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს, საკავშირო პროფსაბჭოს და სრულიად საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის წითელი დროშით და ფულადი პრემიით.

წითელწყაროელმა მეცხოველეებმა აღნიშნული ჯილდო თავიანთი შრომის დიდ აღიარებად მიიღეს და გადაწყვიტეს ჯილდოს საპასუხოდ უფრო ფართოდ გაეშალათ სოციალისტური შეჯიბრება მეცხრე ხუთწლედის გადამწყვეტი წლის წარმატებით დამთავრებისათვის. 1973 წლის განვლილ 9 თვეში რაიონის მეცხოველეებმა აწარმოეს 3.445 ტონა ხორცი, 12.655 ტონა რძე, 16.774 ათასი ცალი კვერცხი, 385 ტონა მატყლი.

ამავე პერიოდში სახელმწიფოს მიეყიდა 3.195 ტონა ხორცი ნაცვლად დაგეგმილი 2.180 ტონისა, 10.745 ტონა რძე, ნაცვლად 8.235 ტონისა, 16.070 ათასი ცალი კვერცხი, ნაცვლად, 10.741 ათასი ცალისა და 369 ტონა მატყლი, ნაცვლად 362 ტონისა. უკანასკნელ წლებში მკვეთრად გაიზარდა პირუტყვის ჯიშობრივი შემადგენლობა. 1966 წლთან შედარებით თვითეული ძროხის საშუალო წველადობა 1972 წლისათვის გაიზარდა 300 კილოგრამით. მიმდინარე წელს ეს ციფრი 500 კილოგრამამდე ავიდა.

წითელწყაროელ მეცხოველეებს მიღწეული არ აკმაყოფილებთ. წინ კიდევ დიდი ამოცანებია და მომავალში ისინი უფრო დიდი მიღწევებისათვის იბრძოლებენ.

მეცხოველეობის პროდუქტების წარმოებისა და დამზადების შემდგომი გადიდების მიზნით დიდი სამუშაოები მიმდინარეობს. კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობაში შენდება მეცხოველეობის კომპლექსები. მეძროხეობის ბრიგადების კონცენტრაციისათვის თვითეულ კოლმეურნეობას ეშენება კომპლექსი, რომელიც საშუალებას მისცემს კოლმეურნეობებს მცირე დანახარჯებით აწარმოონ მეტი პროდუქტები; გაადვილდება შრომის ორგანიზაცია, გამონთავისუფლდება ათობით მუშახელი, ამაღლდება შრომის ნაყოფიერება და კიდევ უფრო გაიზრდება მეცხოველეობის რენტაბელობა. მეძროხეობის ეს კომპლექსები უკვე შენდება კოლმეურნეობებში და მომავალში უფრო ფართო ფრონტით გაიშლება.

განსაკუთრებით დიდი პერსპექტივებია დასახული ხუთწლედში მეფრინველეობის აღმავლობისათვის, ფრინველის ხორცისა და კვერცხის წარმოებისა და დამზადების შემდგომი გადიდებისათვის. კოლმეურნეობებში დაწყებულია და მიმდინარეობს მეფრინველეობის კომპლექსების მშენებლობა, სადაც ყველა სამუშაო პროცესი მექანიზებული და ავტომატიზებული იქნება.

განსაკუთრებული ყურადღება მიექცა პირუტყვის მტკიცე საკვები ბაზის შექმნას, როგორც მეცხოველეობის აღმავლობის საფუძველს. კოლმეურნეობებში ყოველწლიურად მზადდება პირუტყვისათვის უხეში და წვნიანი საკვების 1,5-2 წლის მარაგი. ამასთან ერთად რაიონის კოლმეურნეობები უხეში საკვებით ეხმარებიან დასავლეთ საქართველოს რაიონების მეცხოველეებს.


რაიონის მეცხოველეობა ამაყობს ისეთი სახელებით, როგორიცაა სოციალისტური შრომის გმირი მწველავი ზაირა ალხანიშვილი, ლენინის ორდენოსნები გიორგი ნასრაშვილი, რამან ჯანაშვილი, ვასილ აფციაური, ნოდარ ჯანაშვილი, შრომის წითელი დროშის ორდენოსნები იორამ გონაშვილი, ავთანდილ ნატროშვილი, ნაზი ყველაშვილი, გაიოზ ივანიძე, თინა ჯიგაური, ნინო უძილაური, ელისო ცისკარაული, მზექალა ჩოხელი და მრავალი სხვით.

რაიონის მშრომელები კვლავაც არ დაიშურებენ ძალასა და ენერგიას სამშობლოს ბარაქის მოსახვავებლად, ქართული დოვლათის აღსაზევებლად.


გურამ ლოლაძე,
პარტიის წითელწყაროს რაიკომის პირველი მდივანი.



მემინდვრეთა ბარაქის დაბინავება



რთველი არხილოსკალოს საკოლმეურნეო ზვრებში, სადაც ომამდე ხრიოკი იყო



წითელწყაროში გაზი მოვიდა

წითელწყაროელთა



სოციალისტური შრომის გმირი არსენ კობაიძე სტუმრად პიონერებთან



ჯაფარიძელი მეფრინველეები

რაიონი ციფრებში

წითელწყაროს რაიონის კოლმეურნეობებში 51.000 ჰექტარ სახნავ მიწას ამუშავებენ.

მათს განკარგულებაშია:

ტრაქტორი — 490;

კომბაინი — 200;

სატვირთო ავტომანქანა — 560;

მსუბუქი ავტომანქანა — 47.

სახელმწიფო დაწესებულებებისა და წარმოებების განკარგულებაშია 218 სატვირთო და 51 მსუბუქი ავტომანქანა.

400 კოლმეურნესა და მუშა-მოსამსახურეს აქვს საკუთარი მსუბუქი ავტომანქანა.

ამჟამად რაიონის კოლმეურნეობებს ჰყავთ:

მსხვილფეხა რქიანი პირუტყვი — 24.300 სული;

ღორი — 28.235 სული;

ცხვარი — 172.345 სული;

ფრინველი — 386.550 ფრთა.

ხევსური მეზვრე

ჩვენმა საუკუნემ ყველა წინა საუკუნეზე უფრო დიდი სოციალური გარდაქმნები მოახდინა მშრომელი კაცის ცხოვრებაში. ამიტომ ჩემს ამ პატარა წერილს თუ ერთგვარად უცნაურ სათაურს — ხევსურ მეზვრეს — ვუწოდებ, არ დამძრახოს მკითხველმა, რომელიც დღემდე ხევსურს იცნობდა როგორც მეცხვარეს, ჯიხვებზე მონადირეს თუ სახელოვან მეომარს.

ერთხელ, თურმე, ხევსური შემოდგომით ბარში ჩავიდა. იქ კახელებს რთველი ჰქონიათ. ხევსურმა ნახა, თუ როგორ კრეფდნენ და საწნახელში წურავდნენ ყურძენს. უკან მობრუნებულს სახლიკაცებმა ჰკითხეს: რა ხელ ყოფილიყო, გაგაო, კახეთი?

— ღვინის მოყვანას რა სდომებია — ყურძენი დაკრიფე და დაწურეო, — უთქვამს ხევსურს.

ახალმა ცხოვრებამ ახალი ყოფა მოიტანა — ზოგმა ხევსურმა დათმო „ტიალი საჯიხვეები“ და ბარს ჩაესახლა. ალექსი გიგაურმაც 1951 წელს სამემკვიდრეო ბინა წითელწყაროს რაიონის სოფელ გამარჯვებაში დაიდო. ჯერ ცხვარ-ძროხის ფერმაში ტრიალებდა მთის სუსხს გაჩვეული ვაჟკაცი, მერე კი თავის მეზობელ გიორგი სულაშვილთან ერთად საკოლმეურნეო ზვრებში დაიწყო მუშაობა. სულაშვილის ახალმა შეგირდმა მალე აუღო ალღო მრუდე ვაზის ძირს და კარგად მიხვდა, რომ ღვინის მოყვანა მარტო ყურძნის მოკრეფითა და დაწურვით არ ამოიწურება, კარგად გაიგო ხალხური სიბრძნის შინაარსი, რომ „ვენახში შეხვალ — შეგყვება, გამოხვალ და გამოგყვებაო“, რაც იმას ნიშნავს, რომ ვენახში წლის მანძილზე მუყაითად უნდა შრომობდე, თორემ ღვინის დასაწურ ყურძენს ვერ მიიღებ.

ხევსურმა ბარი და ვაზის მარკრატელი აიღო ხელში, გულდაჯერებით მოეკიდა ახალ საქმეს. 1970 წელს თავის მასწავლებელს გაუსწორა მხარი და გაპიროვნებულ 1 ჰექტარზე 107 ცენტნერი ყურძენი მოიყვანა. იმავე ფართობიდან მომდევნო წელს 129 ცენტნერი ყურძენი მოკრიფა. ახალბედა ხევსური მევენახის ენერგიული შრომა შეუმჩნეველი არ დარჩა საბჭოთა მთავრობას — ალექსი გიგაური შრომის წითელი დროშის ორდენით დაჯილდოეს.

ორი ორდენის კავალერი 69 წლის გიორგი სულაშვილი თავის მეგობარ ალექსი გიგაურთან ერთად ამ ზამთრის პირას კვლავ ვენახში ფუსფუსებს და საფუძველს უყრის გაისის უხვ მოსავალს.

გიორგი სულაშვილი 24 წლის ვაჟკაცი იყო, როცა სოფელში ვაენო ფიროსმანაშვილის თავკაცობით სასოფლო-სამეურნეო არტელი შეიქმნა. ის პირველი ჩაება ამხანაგურ მიწათმოქმედებაში და გუთნისდედობა იკისრა. მერე კი, როცა სასოფლო-სამეურნეო არტელი კოლმეურნეობად გარდაიქმნა, გამსხვილდა და გაძლიერდა, ხვნა-თესვასთან ერთად ვენახის გაშენებასაც მოჰკიდეს ხელი. დღეს უკვე 241 ჰექტარზე შრიალებს გამარჯვების კოლმეურნეობის ზვრები, საიდანაც 198 ჰექტარი იძლევა ნაყოფს. ამ ზვრებიდან გიორგი 2 ჰექტარს უვლის და მის გარჯას მუდამ უხვად ანაზღაურებს მშობლიური მიწა.

128 გამარჯე მევენახე მართლა შვილივით უვლის თვითეული ვაზის ძირს. ახალბედები მოხუც მეზვრეს რჩევას ეკითხებიან და ისიც თავის ცოდნას დაუზარელად გადასცემს ვაზის მომავალ დასტაქრებს.

ეს კია, გიორგი ხანდახან შეუწყრება ხოლმე ახალბედებს: ვენახის ანბანი ზეპირად უნდა იცოდეთ, ვაზის კვირტი რომ გამოიანასკვება, ის არის მოსავლის დედა, ზედ წიგნივით უნდა კითხულობდეთ წლევანდელი მოსავლის ბედ-იღბალს, ეგ თუ არ იცით, მევენახეებად არ გამოდგებითო.

მოხუცი მეზვრეების გვერდით მუყაითობენ ახალგაზრდებიც. მათ, უფროსებთან ერთად, წლეულს გეგმით გათვალისწინებული 52 ცენტნერის ნაცვლად თვითეულ ჰექტარზე 98 ცენტნერი მოსავალი მოიყვანეს და სამშობლოს მარანში 1940 ტონა ყურძენი დაწურეს, თუმცა გეგმა 250 ტონას ითვალისწინებდა.

სახლიკაცები რომ ლხინის სუფრას მიუსხდებიან და ჭალაბს ლალისფერი ღვინით დალოცავენ, ამაყობენ თავიანთი ნაოფლარით და გულდაგულ გადაუყრიან პირველი ჩამოსახლებისას ერთი კახელის ხუმრობით ნათქვამი კაფიათი მიყენებული წყენა.

თურმე, ბარში ჩამოსახლებულმა ხევსურმა სახლის ლიბო რომ ჩააგდო, დიდად მოილხინა, კერის ანგელოზი დალოცა და შთამომავალთ ახალ ფუძეზე გამრავლება უსურვა. კახელმა მევენახემ შეხედა ხევსურს, რომელიც გამალებით სვამდა ღვინოს, და მიუმღერა:

რა დროს მოესწარ, ხევსურო,
ღვინოს მიირთმევ ჭამითა,
ღრძილები გჭონდა დაჭრილი
იმ ხრეშილაის (ქერის პურია)
ჭამითა.

ეწყინა ხევსურს მეგობრის იუმორი და გული დაეჭრა. დღეს კი საზეიმო სუფრაზე რომ თავისი ხელით მოყვანილი ღვინით ლხინობს ხევსური, საყვარელ ჩონგურს ტკბილად დამღერის:

ბარში ვარ, ვლხინობ ხევსური
ჩემი ღვინით და პურითა,
და ვადღეგრძელებ სამშობლოს
ჩემი ალალი გულითა.

სამშობლოს ადღეგრძელებს ხევსური იმ დიდი სიკეთისა და ბედნიერი ცხოვრებისათვის, რაც მას მრუტაზა დღევანდელმა ცხოვრებამ.

გიორგი გოჩიტაშვილი.

ყველაფერი ადამიანისათვის, ადამიანის კეთილდღეობისათვის! ეს არის საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის საპროგრამო დებულება. ამ ჰუმანური პრინციპიდან გამომდინარეობე საბჭოთა მედიცინის შემდგომი განვითარების ღონისძიებები.

საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვებამდე სიღნაღის მაზრაში, რომელშიც დღევანდელი წითელწყაროს რაიონი შედიოდა, მშრომელთა ჯანმრთელობის დაცვის საქმე ძირითადად მკითხავების ხელში იყო, რადგან მაზრაში მხოლოდ ორიოდე ექიმი და ფერშალი მუშაობდა. ღატაკსა და დაბეჩავებულ მოსახლეობას მუსრს ავლებდა სხვადასხვა დაავადება.

საბჭოთა ხელისუფლების წლებში მატერიალურ-ტექნიკურ შესაძლებლობათა ზრდასთან ერთად მტკიცდებოდა და ვითარდებოდა მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვის საქმეც. ყოველწლიურად იზრდება ასიგნობანი სახალხო ჯანმრთელობის განვითარებისათვის, რის შედეგადაც მტკიცდება და ფართოვდება სამედიცინო დაწესებულებათა მატერიალურ-

ჯანმრთელობის უკიდურესი ყოვნ

ტექნიკური ბაზა. მარტო უკანასკნელ ათ წელიწადში რაიონის სამედიცინო ქსელის დაფინანსება 388 ათასი მანეთიდან 1.134.800 მანეთამდე გაიზარდა, საავადმყოფოს საწოლთა რაოდენობა — 75-დან 285-მდე, სამედიცინო ქსელის მუშაკთა რაოდენობა — 380-დან 664-მდე.

ამჟამად რაიონის მოსახლეობას სამედიცინო დახმარებას უწევს 4 სამკურნალო-პროფილაქტიკური დაწესებულება, მათ შორის 195-საწოლიანი რაიონული საავადმყოფო, 30-საწოლიანი ბავშვთა საავადმყოფო და 50-საწოლიანი საუბანთაშორისო საავადმყოფო. სულ მალე მწყობრში ჩადგება რაიონის საავადმყოფოს ახალი, დამატებითი 105-საწოლიანი კორპუსი, რითაც საწოლებით უზრუნველყოფის მაჩვენებელი ყოველ 1.000 მოსახლეზე 7,5-დან 10-მდე გაიზრდება.

მოსახლეობას სასწრაფო სამედიცინო დახმარებას უწევს ორი სადღეღამისო ბრიგადა, გადაუდებელი ქირურგიისა და სამეანო-გინეკოლოგიური დახმარების საგუშაგოები.

რაიონში ავადმყოფთა კვალიფიციური დახმარების უმთავრესი ცენტრი რაიონული პოლიკლინიკაა, სადაც 8 ძირითად და 4 დამხმარე კაბინეტი მუშაობს. განსაკუთრებული ყურადღება ექცევა დაავადებული და ჯანმრთელი კონტინგენტის დისპანსერიზაციას, მათს სამედიცინო მომსახურებასა და მკურნალობას.

ფართო პროფილაქტიკური ღონისძიებების გატარების შედეგად შემცირდა ბავშვთა, განსაკუთრებით კი 1 წლამდე ასაკის ბავშვთა შორის სიკვდილის მაჩვენებელი, რომელიც რევოლუციამდე ყოველ 1.000 ბავშვზე 269-ს შეადგენდა.

საერთოდ 4-ჯერ შემცირდა მოსახლეობის გარდაცვალების მაჩვენებელი, სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობა კი ორჯერ გაიზარდა, რაც საბჭოთა ერთად განაპირობა სამედიცინო დაწესებულებათა მატერიალური ბაზის გაძლიერებამ,



საშემოდგომო თესვა შირაქში



სასილოსე მწვანე მასის ალება

შრომის ბარაქა...

საარჯალი

მეცხვარის საათი დილის ცისკარია. კრიალა ცაზეც უშეცდომოდ კითხულობს ამინდის ცვალებადობის ანბანს. იმ შუადამითაც, როცა თეოზე ძაღლები აყეფდნენ და დამფრთხალი ცხვრის ნოტო კლდისპირს მიაწყდა, ბინიდან გამოსულმა თოფმომარჯვებულმა სარქალმა ფარას შემოუარა, დამფრთხალი ნოტო მოიოლურა და ცას ახედა — ნამგალა მთვარე შავი ღრუბლის ნაგლეჯს ამოფარებოდა. თრიალეთის მთის სუსხმა სახე აუწვა.

მწყემსებს შეეხმიანა.

— რა იყო, არსენ, ცხვარი რამ დააფრთხო?

— ღელეში ჩაწოლილ ნისლს მგელი ამოჰყოლოდა და ფარას წაეტანა.

სარქალი ისე გაბრუნდა ბინისაკენ, რომ არსენ მარტყოფლიშვილისთვის აღარაფერი უთქვამს. ბინაში მყოფი მწყემსები თანდილა ნატროშვილი, გოგი ოზბეთელაშვილი და ქაქო გილაშვილი გააღვიძა.

— ადექით, ბიჭებო, გაემზადეთ, ცხვარი უნდა ავყაროთ. სექტემბერი კი არ ჩამოთავებულა, მაგრამ დაბლა, საბაროებში უნდა ჩავიდეთ, საცაა ამინდი შეიცვლება და გაგვიჭირდება ამ ჭიუხებიდან თავის გაღწევა.

— რა სიზმარი ნახე, ნოდარ, რამ აგაჩქარა?

— სიზმარი კი არა, ცხადლივ ვნახე — მგელი წაეტანა ფარას, იმ ტიალმა ამინდის გაცუდება იგრძნო, ცხვარს ახყრიან აქედანაო — იფიქრა, — მშიერი არ დავრჩეო. ეგეც არ იყოს, გუშინ საღამოთი ცხვარიც ხარბად სძოვდა ბალახს. ამაზე მეტი სიზმარი რაღა გინდა...

ცხვრის ფარას სამოოდე კილომეტრიც არ ჰქონდა გავლილი, რომ მთებმა შუბლი შეიკრეს, ჯერ ნისავწანწალა ამოვარდა, მერე კი ჭყაპი მოჰყვა, ნახევარ საათში ისეთი თოვლი წამოვიდა, რომ მწყემსებს გზის გაგნება გაუჭირდათ.

...ცხვრის ფარა მაინც სამშვიდობოს გაირეკეს. მთაში დარჩენილი ფარები კი ჭიუხებში მოემწყვდნენ და ზარალი ნახეს.

ოცდამეთორმეტე წელიწადია ნოდარ ჯანაშვილი წითელწყაროს რაიონის სოფელ ზემომაჩხაანის ლენინის ორდენოსანი კოლმეურნეობის ორმოცდაათ ათასიან ცხვრის ფარებში ტრიალებს და ალღოიან სარქალს ჯერ დამარცხების სიმწარე არ განუცდია.

...იდგა ბობოქარი 1941 წელი. სამშობლოს ომის ღრუბლები რომ ჩამოაწვა, მამაცი მეცხვარეები, საბჭოთა მთავრობას ადრევე რომ შეუთვალეს — „შეგვატყობინეთ, ჩამოვალთ თუ სადმე გაჩნდა მტერია, — საზაფხულო იალაღებზე აბალახებდნენ ცხვარს. მათ სამშობლოს დაძახებაზე მეცხვარის კომბალი პატარა ბიჭებსა და მოხუცებს დაუტოვეს, თვითონ კი თოფ-იარაღი აისხეს და მამულის დასაცავად წავიდნენ.

მაშინ 17 წლისა იყო ნოდარი და სოფლიდან იალაღებს მიაშურა— ომში წასული მწყემსების სანაცვლოდ ხელში კომბალი აიღო და საკოლმეურნეო ცხვრის ფარას მიუდგა მწყემსად.

1943 წელს უკვე 19 წლის ჭაბუკმა იალაღები დატოვა და წითელი არმიის რიგებში ჩადგა. მოხალისე ჭაბუკი მეომარი მალე შეეგუა ფრონტულ ცხოვრებას. ნოდარმა მტერზე გამარჯვება იზეიმა და კვლავ საყვარელ საქმეს დაუბრუნდა.

იალაღებმა მიჩვევა იცის. — თუ ერთხელ მაინც დამტკბარხარ საქართველოს ლამაზი მთების სიდიადით, თუ ათასი ხიფათით აღსავსე გზებზე გიტარებია ცხვრის ფარები, ადვილად ვეღარ შეელევი მთის დიდებას.

ახალგაზრდა მეცხვარე კოლმეურნეობის გამგეობამ მალე ბინის სარქლად დააწინაურა. ამჟამად 2.000 ცხვარს პატრონობს 21-ე ბრიგადაში.

ნოდარი ჯანაშვილმა და მისმა მეგობრებმა არაერთხელ ისახელეს თავი, წლეულს კი ყველა მოლოდინს გადააჭარბეს. გასულ ზამთარს ჯანსაღად გამოაზამთრეს პირუტყვი, სწორად მოაწყეს დოლის საქმე და ყოველ 100 ნერბაზე 102 ბატკანი გამოზარდეს, ხოლო თვითეულ ცხვარზე 4 კილოგრამამდე მატყლი გაპარსეს და მეცხოველეთა შორის გაშლილ სრულიად საკავშირო სოციალისტურ შეჯიბრებაში გაიმარჯვეს. ამ წარმატებისათვის ნოდარ ჯანაშვილი საბჭოთა მთავრობამ ლენინის ორდენით დაჯილდოვა. მანამდე კი ის დაჯილდოებული იყო საპატიო ნიშნისა და შრომის წითელი დროშის ორდენებით.

ამ ზამთრის პირზე ცხვრის ბინას მამაცი სარქალი თავის სამწყემსოს ივრის საზამთრო საძოვრებზე აბალახებს და გაისად კიდევ მეტ ბარაქას პპირდება სამშობლოს.

გიორგი ჯაფარიძე



ნოდარ ჯანაშვილი თავის ვაჟიშვილ ვალიკოსთან ერთად



ზემოქედის კოლმეურნეობის № 1 სატრაქტორო ბრიგადის ბრიგადირი, სოციალისტური შრომის გმირი ნიკოლოზ მელიქიშვილი

რაიონი ციფრებში


1973 წლის გასულ პერიოდში წითელწყაროს რაიონის მშრომელებმა სამშობლოს მეღელში, მარანსა და საწყობში შეიტანეს:

მარცვლეული — 42.000 ტონა;
მზესუმზირა — 10.150 ტონა;
ყურძენი — 12.000 ტონა;
ხორცი — 3.195 ტონა;
რძე — 10.745 ტონა;
მატყლი — 369 ტონა;
კვერცხი — 16.070.000 ცალი.

იოსებ დავითაშვილისა და სერგო თევზაძის ფოტოები



ჯაფარიძის კოლმეურნეობის ძროხების ახალი შავ-ჭრელი ჯიში



მკა შირაქში

...მედიცინო მომსახურების ხარისხობრივი მაჩვენებლების გაუმჯობესებამ.
...რაიონის მშრომელებს 24 სამკურნალო-პროფილაქტიკური დაწესებულება ...ხურება: საავადმყოფოები, ამბულატორიები, საფერშლო პუნქტები, ეპიდსადგური, ბავშვთა ბაგები და სხვა, სადაც ... ექიმი (მათ შორის 5 რესპუბლიკის ...მსახურებული ექიმი: გიორგი რობიაშვილი, ანეტა ალავერდაშვილი, მარიამ ...გილაშვილი, ნინო ჯალიაშვილი და გიორგი ქიტიაშვილი, მედიცინის მეცნიერებათა კანდიდატი ვალერიან პოპიაშვილი) და 296 საშუალო მედპერსონალი ...შაობს.
...ასე, როგორც მთელ ჩვენს ქვეყანაში, ...თელწყაროს რაიონშიც განსაკუთრებული ...ამედიცინო მომსახურებაა დაწესებული დედისა და ბავშვის ჯანმრთელობის დაცვაზე. ქალი, რომელიც ბავშვს ...ელის, აღრიცხვაზე აჰყავთ ორსულობის პირველი თვეებიდანვე, ყოველმხრივ ...ვლობენ მის ჯანმრთელობას, ყველა ...ნისძიებას ატარებენ გართულებული ...ბიარობის თავიდან ასაცილებლად. ...ელი მშობიარის მიღება ხდება ექიმ

ლოგა ლეს ისა

...გინეკოლოგის მაერ. უკანასკნელი ...ის განმავლობაში მშობიარე ქალის ...ილის არც ერთი შემთხვევა არა ...ნია.
...შვზე ზრუნვა კი იწყება მის დაბა... მე. ამზადებენ მომავალ დედებს ...ის მოსავლელად და საყრფაცხოვ... პირობებს უქმნიან მომავალ საბა... მოქალაქეს. ბავშვის მომავალი ...განვითარებისათვის განსაკუთრე... ყურადღება ექცევა კვებასა და ...ს რეჟიმს.
...ოვნურ კვებაზე მყოფ ბავშვებს ...ავალშვილიან ოჯახებს უფასო კვე... ის გარკვეული თანხა ეძლევათ. ...ოფილია ასიგნობანი 1 წლამდე ბავ... უფასო მკურნალობისათვის.
...ხლეობის მატერიალური კეთილ... ის ამაღლებისა და საერთო გამა... ებელი ღონისძიებების განხორციე... შედეგად, უკანასკნელ წლებში, ...ში შემცირდა ტუბერკულოზით ...დების შემთხვევები. მარტო უკა... ელ 10 წელიწადში აქტიური ფორ... დავადებულთა რაოდენობა ორჯერ ...რდა. ტუბერკულოზით დაავადებუ... უზრუნველყოფილი არიან უფასო ...მენტური და კურორტული მკურ... ით.
...სპო და წარსულის მწარე მოგონე... დარჩა მდინარე ალაზნის მახლობ... მცხოვრებთა რისხვა — მალარია, ...ც მუსრს ავლებდა მშრომელებს. ...იას ჩაბარდა ისეთი ინფექციური ...დებები, როგორიც არის დიფთერია ...ფი.
...ლად დაბეჩავებულ, უწიგნურ ქი... ლს ცნებითაც კი არ შეეძ... ოედგინა ცხოვრება, სადაც ყვე... რი კეთდება ადამიანის ბედნიერე... და მისი ჯანმრთელობისათვის.

...ევან ბოსტოლანაშვილი,
...თელწყაროს რაიონის მთავარი ...ექიმი.

სახალხო განათლება წითელწყაროს რაიონში

1921 წლის 18 თებერვლის განთიადმა შირაქელი გლეხის ცხოვრებას შნო და ღაზათი შემატა. საუკუნეების განმავლობაში მისი ნაოცნებარი სინამდვილედ იქცა — საქართველოში პირველად აქ, ამ მადლიან მიწაზე აფრიალდა საბჭოთა ხელისუფლების წითელი დროშა.

1912 წელს ვაჟა-ფშაველა წერდა: „ძალიან მოწადინებულია ორივე სოფელი — ზემო და ქვემო ქედი — ჰქონდეთ სკოლები, გულითა მთხოვს, გამეწია მათთვის წინამძღვრობა და დახმარება. ჩემი წინამძღვრობა და დახმარება ამის იქით ვერ წავა: მივაქციე წერა-კითხვის საზოგადოების ყურადღებას ამ საგანზე, რათა მან მიიღოს სკოლები თავის მფარველობის ქვეშ და გვაცოდინოს, რა ხარჯის გაწევა შეუძლიან მას ამ საქმისათვის, დანარჩენს ჩვენ თვითონ ვიკისრებთ.

დაკმაყოფილება ხალხისა — ქედლების მოთხოვნებისა — დიდ ნაყოფს გვმოიღებს, რადგან მთის ხალხი ფრიად მოტრფიალეა ცოდნისა, სწავლისა — „წიგნის“ სწავლა მათში საკუთარი მეცადინეობით არის გავრცელებული“.

რევოლუციამდე წითელწყაროს რაიონის ტერიტორიაზე არსებული გამოგზავნა — ეს იყო პირველი აგრონომი და ისიც სხვა რაიონიდან. ეხლა უმაღლესი განათლების მქონე აგრონომები ცალკეულ საწარმოო ბრიგადებსაც ხელმძღვანელობენ და სწორედ მათი უნარიანი მუშაობის შედეგია, რომ ესოდენ გაიზარდა საოფლო-სამეურნეო პროდუქტების წარმოების დონე.

რაიონის სახალხო განათლების მუშაკთა შორის 10 რესპუბლიკის დამსახურებული მასწავლებელია, სამ მასწავლებელს აქვს ადგილობრივი მნიშვნელობის პერსონალური პენსია, 100-მდე პედაგოგი მთავრობის ჯილდოს კავალერია.

სკკპ XXIV ყრილობის გადაწყვეტილებათა შესაბამისად 1972 წელს 20 პროცენტით გაიზარდა მასწავლებელთა ხელფასი, მასწავლებელთა მატერიალური და კომუნალური მდგომარეობის გაუმჯობესებისათვის ახალი ღონისძიებანი დაისახა სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1973 წლის 2 ივლისის დადგენილებით, რის შედეგადაც მასწავლებელთა თვიური ხელფასი დიდად გაიზარდა.

ჩვენი რაიონის სკოლებმა რესპუბლიკას მისცა ბევრი მეცნიერი მუშაკი. საკმარისია ითქვას, რომ მარტო სოფელ ზემომაჩხაანიდან ორი მეცნიერებათა დოქტორი — ზოოტექნიკურ მეცნიერებათა დოქტორი არჩილ ნატროშვილი, ფილოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორი დიმიტრი ბენიაშვილი და მეცნიერებათა ბევრი კანდიდატია. ზემომაჩხაანიდან არის გამოჩენილი ქართველი მწერალი და კრიტიკოსი გიორგი ნატროშვილი, აქაურები არიან მეცნიერები ვახტანგ ალადაშვილი, სიმონ გვრიტიშვილი, არჩილ გონაშვილი, მხატვარი, სახელმწიფო პრემიის ლაურეატი ფარნაოზ ლაპიაშვილი და მრავალი სხვა.

საბჭოთა ახალგაზრდობის აღზრდაზე დიდი ზრუნვა პირველ რიგში გამოიხატება ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განმტკიცებისათვის გატარებული ღონისძიებებით. საბჭოთა ხელისუფლების პირველ წლებში უჭირდა ქვეყანას და რაიონის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებიც მოთავსებული იყო შეუფერებელ, ზოგჯერ ნაქირავებ ბინაში, დღეისათვის ყველა სკოლას აქვს ნორმალური მუშაობის პირობები. ამაზე მეტყველებს ნათელი საკლასო ოთახები, შესაბამისი ინვენტარი, კარგად მოწყობილი სასწავლო კაბინეტები, სახელოსნოები, სასპორტო დარბაზები, კლასგარეშე მუშაობისათვის საჭირო ფართობი, საზოგადოებრივი აღზრდის გაფართოებისა და ოჯახის პრაქტიკური დახმარებისათვის 35 გახანგრძლივებული დღის ჯგუფი 1.075 მოსწავლით, სასკოლო ბუფეტები და სასადილოები. მარტო 1973 წელს 65 ათასი მანეთი დაიხარჯა სკოლების კაპიტალური შეკეთებისა და საბავშვო ბაღების გაფართოებისათვის, გათვალისწინებული ბიუჯეტით შვიდ-ძინეთ 16.000 მანეთის, რესპუბლიკის ბიუჯეტით 35.000 მანეთის სასწავლო მოწყობილობა. ექსპლუატაციაში გადავეცით 1 საშუალო სკოლის შენობა 440 მოსწავლისათვის. ტიპური სასკოლო შენობა დაპროექტდა სოფელ სამთაწყაროში.

წითელწყაროს რაიონის სახალხო განათლების მუშაკები ენერგიას არ იშურებენ, რომ სამშობლოს აღუზარდონ საიმედო თაობა.

ნინო ბოსტოლანაშვილი,
რაიონის განათლების განყოფილების გამგე.



ფიზიკის გაკვეთილი ზემოქედის საშუალო სკოლაში

სკოლების შესახებ დიდი იღიას მოთხრობაში — „სარჩობელაზედ“ — ვკითხულობთ: „ბოლოს, ცოტა რომ წამოვისვენეთ, მამინაცვალმა მოგვიშორა თავიდან, მიგვაბარა სალდათის სკოლაში თუჩურმიაშედ (დღევანდელ რაიონულ ცენტრს ერქვა — ნ. ბ.), ვაი და ვიღაში ჩავვარდი. აგვიყროლეს სული ლანძღვითა და თრევითა, ამოგვართვეს სული ცემა-ტყეპითა, ვითმინეთ და ვეღარ ავიტანეთ. დავკარით ფეხი და გამოვიქეცით“.

სოფლებში არ იყო სკოლა, ძირითადად მღვდლები ასწავლიდნენ წერა-კითხვას. 1917 წლისთვის დღევანდელი რაიონის ტერიტორიაზე მხოლოდ 4 დაწყებითი სკოლა იყო 100 მოსწავლით. ამჟამად კი რაიონში ახალი თაობის აღზრდას 26 ზოგადსაგანმანათლებლო სკოლა და ერთი პროფტექნიკური სასწავლებელი ემსახურება. ზოგიერთ სოფელში მოსწავლე ახალგაზრდობის ასაკობრივი მდგომარეობის გათვალისწინებით არის დაწყებითი, რვაწლიანი და საშუალო სკოლები. მაგალითად, ქალაქ წითელწყაროში 2 საშუალო სკოლა და ერთი სკოლა-ინტერნატია. ყველა სოფელში ნორჩების აღსაზრდელად არის საბავშვო ბაღები, ბაგა-ბაღები და ბაღები. 6.795 მოსწავლეს ემსახურება 600-მდე მასწავლებელი, სკოლამდელ დაწესებულებებს — 100 აღმზრდელი, რომელთა 95 პროცენტს უმაღლესი განათლება აქვს.

აღსანიშნავია, რომ თუ დიდი ილია ჩვენი საუკუნის გარიჟრაჟზე საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერულ საფუძველზე გაძღოლისათვის რამდენიმე აგრონომს ნატრობდა, დღეს ჩვენი რაიონის კოლმეურნეობების მძლავრ საწარმოო დარგებს უმაღლესი განათლების მქონე სპეციალისტები უდგანან სათავეში და ყველა მათგანი ადგილობრივი მკვიდრია — ეს ჩვენი სკოლების დიდი დამსახურებაა. უნდა გავიხსენო, რომ ოცდაათიან წლებში, როცა კოლმეურნეობები მძლავრი სასოფლო-სამეურნეო ტექნიკით შეიარაღებას იწყებდნენ, ჩვენი რაიონის კოლმეურნეობებს არც ერთი აგრონომი და აგროტექნიკოსი არ ჰყავდათ. საქართველოს მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატმა: მაშინ ჩვენს რაიონში სამუშაოდ გრიგოლ კოჟრიძე



რაიონის კულტურის კერები

წარსულში წითელწყარო და მის ირგვლივ მდებარე სოფლები მოკლებულნი იყვნენ კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებათა ყველა სიკეთეს. მხოლოდ 1923 წელს სოფელ ზემომაჩხაანში ახალგაზრდა ენთუზიასტის ნიკო ბოსტოლანაშვილის თაოსნობით გაიხსნა პირველი ქოხ-სამკითხველო, რომელმაც 300 წიგნით დაიწყო თავისი არსებობა. იმ დროისათვის ეს მარტო წიგნი კი არა, 300 გატენილი უფშბარა იყო კლასობრივი მტრის წინააღმდეგ მიმართული.

ახალი, თავისუფალი ცხოვრებით გულგახარებული გლეხობა მხურვალედ დაეწაფა წიგნს. იმ დროისათვის ქოხ-სამკითხველოები სკოლებს უფრო ჰგავდნენ, ვიდრე ბიბლიოთეკებს — აქ იკრიბებოდნენ წიგნის მოყვარულნი, ანბანის სწავლის მსურველნი, აქვე ისმენდნენ ლექციებს, საუბრებს ახალი ცხოვრების შესახებ, მსჯელობდნენ საბჭოთა ხელისუფლების მომავალ გეგმებზე.

შემდეგში თანდათანობით უმატია ქოხ-სამკითხველოების რიცხვს, ყველა სოფელში კულტურულ ცენტრად გადაქცეულან. დღეს კი 33 სარაიონო, საქალაქო და სასოფლო ბიბლიოთეკა 165 ათასამდე წიგნს ითვლის, ყოველწლიურად ემსახურება 27 ათასზე მეტ მკითხველს, რომელნიც 488 ათასზე მეტი წიგნით სარგებლობენ. რაიონის მშრომელთა კულტურული დონის ამაღლების, საუკეთესო დასვენება-გართობისა და ჯანსაღი თაობის აღზრდის საქმეს ემსახურება კულტურის 16 სახლი და კლუბი, ორი მუსიკალური სკოლა, სპორტული მოედნები, ფერწერის დიდი ოსტატის ფიროსმანის სახლ-მუზეუმი და მრავალი სხვა დაწესებულება.

კულტურულ - საგანმანათლებლო დაწესებულებების მუშაკთა ძალებით დაკომპლექტებული ბრიგადები სისტემატურად მიდიან ფერმებში, მინდვრად თუ ზვრებში მომუშავე კოლმეურნეებთან და მართავენ კითხვა-პასუხის საღამოებს, კითხულობენ ლექცია-მოხსენებებს, ატარებენ საუბრებს, მართავენ კონცერტებს, მხატვრულ საღამოებსა და სხვა ღონისძიებებს.

ჩვენი კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებების მუშაკთა კოლექტივები წარმატებით გამოდიან რესპუბლიკურ ასპარეზობებზე, რისთვისაც უკანასკნელ 8 წელიწადში ჯილდოებით აღინიშნა რაიონის კულტურის სახლის, საბავშვო ბიბლიოთეკის, სოფელ ზემოქედის კულტურის სახლის, არბოშაკის № 2 და არხილოსკალოს სასოფლო ბიბლიოთეკების კოლექტივების კარგი მუშაობა.

ახალგაზრდობის მსოფლიო ფესტივალზე, რომელიც წელსულს გაიმართა, სოფელ ზემოქედის კულტურის სახლის ხალხურ საკრავთა ანსამბლმა ოქროს მედალი დაიმსახურა, ხოლო რაიონის კულტურის სახლის აგიტმხატვრულმა ბრიგადამ რესპუბლიკურ დათვალიერებაში პირველი ხარისხის დიპლომი და ფასიანი საჩუქრები დაისაკუთრა.

წელსულს მაყურებელთა წინაშე წარმატებით გამოდიან რაიონისა და სოფელ არბოშაკის კულტურის სახლების დრამატული კოლექტივები, რომელთაც საკოლმეურნეო შრომაში ჩაბმულ ადამიანებს მინდვრად თუ ფერმებში უჩვენეს სპექტაკლები.

ჩვენს რაიონში ტრადიციად დამკვიდრდა, რომ პურეულისა თუ სხვა მოსავლის აღების ცხარე დღეებში მინდვრად, კალოებზე იქმნება მოძრავი ბიბლიოთეკები, კულტპუნქტები, სადაც არის რადიომიმღები და ტელევიზორი, აქვე მართავენ კონცერტებს აგიტმხატვრული ბრიგადები... შრომაში გართულ ადამიანებს სულიერი საზრდოც არ აკლიათ.

შრომა, დასვენება და გართობა წითელწყაროელ მშრომელთა კუთვნილებაც არის.

სარდიონ იაკობიშვილი,
წითელწყაროს რაიონის კულტურის განყოფილების გამგე.



წითელწყაროს კულტურის სახლში „ქართულს“ უვლიან



ზემოქედის სტალინის სახელობის კოლმეურნეობის სიმღერისა და ცეკვის თვითმოქმედი კოლექტივი სოფლის საყოფაცხოვრებო კომბინატის წინ



იაკობა

საქართველოს სამეცნიერო-პედაგოგიური საზოგადოებრიობა და მოსწავლე ახალგაზრდობა მთელ ქართველ ხალხთან, მრავალეროვანი საბჭოთა საქართველოს ყველა მშრომელთან ერთად ყოველწლიურად სიყვარულისა და მადლიერების გრძნობით აღნიშნავს ქართლის შუაგულში მდებარე პატარა სოფელ ვარიანიდან ფეხადგმული დიდი მამულიშვილის — იაკობ გოგებაშვილის დაბადების თარიღს — 1840 წლის 27 ოქტომბერს, რამეთუ იაკობ გოგებაშვილი, აკაკის ფრთოსანი სიტყვებით რომ ვთქვათ, იყო „...წარსულის შვილი, მომავლის მამა და მყოფადის გადია“. მისი სახელი ჩვენი ერის ისტორიაში შევიდა როგორც დიდი ქართველი პედაგოგისა და განმანათლებლის, ქართული პედაგოგიური აზროვნებისა და საბავშვო ლიტერატურის კლასიკოსის, საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის დიადი მედროშეების — ილიასა და აკაკის განუყრელი თანამებრძოლისა და მარად ცოცხალი „დედაენის“ უკვდავი ავტორის სახელი.

ლამის საუკუნის წინათ (1876 წ.) შექმნილმა მისმა „დედა ენამ“, „ბუნების კარმა“ და „რუსკოე სლოვომ“, კლასიკურმა საბავშვო მოთხრობებმა — „იავნანა რა ჰქმნა“, „ერეკლე მეფე და ინგილო ქალი“, „ასპინძის ომი“, „თავდადებულნი ქართველნი“, „სხივი წარსულისა“ და სხვა, აგრეთვე მისეულ სახელმძღვანელოებში მოთავსებულმა სხვადასხვა ავტორის მაღალმხატვრულმა საბავშვო ნაწარმოებებმა თუ ხალხური შემოქმედების საუკეთესო ნიმუშებმა უდიდესი როლი შეასრულეს ქართველი ახალგაზრდობის მრავალი თაობის აღზრდა-განათლების, მთელი ქართველი ხალხის ეროვნული თვითშეგნებისა და კულტურულ-საგანმანათლებლო დონის აღმავლობის საქმეში. ამავე დროს ეს დიდი ჰუმანისტი, პედაგოგი და ეროვნული მოღვაწე ერთა შორის ბეშმარიტი ძმობა-მეგობრობის დიდი ქადაგიც იყო. იგი ბრძნული წინასწარმეტყველებით განსაზღვრავდა, რომ რუსული ენა „არის ენა ფრიად მრავლისა ერისა და მას მოელის ბრწყინვალე მომავალი—ერთის მსოფლიოს ენათაგანის როლი“. ამიტომაც მოუწოდებდა იაკობ გოგებაშვილი ჩვენს ახალგაზრდობას რუსული ენის დაუფლებისაკენ და ამბობდა: „...რუსული ენის ცოდნა უდიდესი სიკეთეა ყველა ქვეყნიელისათვის, რადგან მისცემს მათ იმის საშუალებას, რომ იყვნენ სრულფასოვანი მოქალაქენი დიდი სახელმწიფოსი, ეზიარონ მდიდარ რუსულ ლიტერატურას და თავიანთი სამშობლოს უსაზღვრო სივრცეში თავი ისე იგრძნონ, როგორც საკუთარ სახლში“.

ფასდაუდებელია იაკობ გოგებაშვილის ღვაწლი არა მარტო ჩვენი მოზარდი თაობის სწავლა-აღზრდისა და ქართული პედაგოგიური აზროვნების განვითარებაში, არამედ იმაშიც, რომ იგი ითვლება ერთიანი ქართული სალიტერატურო ენის დამკვიდრების ერთ-ერთ ფუძემდებლად, დედაენის დიდ ქომაგად. სწორედ ამიტომ არის მისი სახელი ჩვენი ერის საყოველთაო-სახალხო სიყვარულითა და პატივისცემით გარემოსილი. ეს უსაზღვრო სიყვარული მკაფიოდ გამოიხატა ამჯერადაც, წლევანდელი „იაკობობის“ ზეიმზე, რომელიც 27-28 ოქტომბერს აღინიშნა გორსა და ვარიანში.

ამ ზეიმს წინ უძღოდა საქართველოს სსრ უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტროს თაოსნობით სწავლებისა და აღზრდის აქტუალურ საკითხებზე მოწყობილი რესპუბლიკის უმაღლესი სასწავლებლების პედაგოგიკა-ფსიქოლოგიის კათედრების სამეცნიერო-მეთოდური კონფერენცია, რომელიც 27 ოქტომბერს დაიწყო გორის ნიკოლოზ ბარათაშვილის სახელობის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის სხდომათა დარბაზში, ხოლო 28 ოქტომბერს გადაინაცვლა სოფელ ვარიანის საშუალო სკოლის ახალი შენობის გვერდით აღმართულ სოფლის კულტურის სახლის საჭტო დარბაზში.

კონფერენციის დამთავრების შემდეგ იაკობ გოგებაშვილის სახლ-მუზეუმთან გაიმართა ხალხმრავალი მიტინგი. ვარიანელ მშრომელებთან ერთად აქ იყვნენ თბილისიდან და ახლომახლო რაიონებიდან ჩამოსული მოსწავლე ახალგაზრდობა და მასწავლებლობა, მეცნიერების, მწერლების, ლიტერატურისა და ხელოვნების მუშაკთა წარმომადგენლები. ზეიმზე სტუმრად ჩამოსულმა ჩუვაშეთის ასსრ ჩებოქსარის რაიონის კოლმეურნეობა „გმირის“ მშრომელთა დელეგაციის მეთაურმა გ. ასტრახანცევმა „იაკობობის“ ზეიმზე დამსწრე პოეტ-აკადემიკოს ირაკლი აბაშიძეს, რომელიც არჩეულია კოლმეურნეობის კლუბის — „სსრ კავშირის ხალხთა მეგობრობის“ საპატიო წევრად, გადასცა ამ კლუბის საპატიო წევრობის მოწმობა.

საზეიმო მიტინგი შესავალი სიტყვით გახსნა გორის მშრომელთა დეპუტატების რაისაბჭოს აღმასკომის თავმჯდომარემ ვ. კვალიაშვილმა.

სიტყვით გამოვიდნენ საქართველოს სსრ უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების მინისტრი აკად. გ. ჯიბლაძე, რესპუბლიკის განათლების მინისტრის მოადგილე პროფ. კ. მაჭარაშვილი, პოეტი ჯ. ჩარკვიანი, სოხუმის პედინსტიტუტის დოცენტი ვ. უურასკუა, ი. გოგებაშვილის სახელობის პედაგოგიკის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის პედაგოგიკის სექტორის გამგე დოც. დ. გურგენიძე, გოგებაშვილის უხუცესი თანასოფლელი მ. კოკაური, ვარიანის საშუალო სკოლის მასწავლებელი ნ. განჯელაშვილი და სხვები.

იაკობისადმი მიძღვნილი ლექსები წაიკითხეს სახალხო მთქმელმა ვ. ყასუმაშვილმა და ვარიანის საშუალო სკოლის მოსწავლემ მ. დავითიძემ.

დასასრულ 500 მოსწავლისაგან შემდგარი ბავშვთა მხატვრული თვითმოქმედი კოლექტივის ძალებით გაიმართა დიდი კონცერტი და ხალხური თამაშობანი.

ქართული პედაგოგიური აზროვნების ფუძემდებლის იაკობ გოგებაშვილის დღეობას მიეძღვნა აგრეთვე გორის სახალხო განათლების მუზეუმის საზეიმო გახსნა, რომელიც სახალხო განათლების თბილისის სახელმწიფო მუზეუმის შემდეგ მეორე ამდაგვარი მუზეუმია რესპუბლიკაში. მუზეუმის ექსპოზიცია მოიცავს მასალებს განათლების შესახებ ქართლში IV საუკუნიდან დღევანდლამდე. მასში ფართო ადგილი აქვს დათმობილი გორის სასულიერო სასწავლებლის, საოსტატო სემინარიის, ქალთა და ვაჟთა გიმნაზიების, წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების გორის განყოფილების მუშაობის ამსახველ ექსპონატებს. ვრცლად არის წარმოდგენილი მასალები სახალხო განათლების დარგში საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ მომხდარი დიდი ძვრების შესახებ. მუზეუმში გამოფენილია უჩა ჯაფარიძის, რობერტ სტურუას, პეტრე ალავარიძის, გულნარა ჩიტაძის, მამია ახობაძისა და სხვათა ფერწერული ტილოები.


მუზეუმი მოთავსებულია ქალაქის ცენტრში — სტალინის გამზირზე აგებული ახალი შენობის ნათელ დარბაზებში და სასიამოვნო შთაბეჭდილებას ახდენს მნახველზე. ეჭვგარეშეა, რომ იგი დღითიდღე ახალ-ახალი ექსპონატებით გამდიდრდება და დიდ დახმარებას გაუწევს როგორც სწავლა-აღზრდის ისტორიით დაინტერესებულ მკვლევართ, ისე სახალხო განათლების მუშაკთა ფართო წრეებს.

„იაკობობის“ დღესასწაული, რომლის ოფიციალურ დაწესებასაც სათავე დაედო გოგებაშვილისეულ სოფელ ვარიანში 1971 წლის 31 ოქტომბერს, წლეულს მესამედ აღინიშნა. მომავალში, ალბათ, ეს ღირსშესანიშნავი ტრადიცია, ისე, როგორც „შოთაობის“, „ილიაობისა“ და „ვაჟაობის“ სახალხო დღესასწაულები, დღითიდღე უფრო ღრმად გაიდგამს ფესვებს და მთელი ქართველი ხალხის ერთ-ერთ უსაყვარლეს ეროვნულ ზეიმად გადაიქცევა.

გრიგოლ საჯაია,
ჟურნალისტი.




გორის რაიონის სოფელი ვარიანი. იაკობ გოგებაშვილის სახლ-მუზეუმის ხედი









სპორტი

ფეხბურთი

ორი მატჩი თურქეთში

როგორც ცნობილია, უეფა-ს თასის გათამაშების მერვედფინალში თბილისის „დინამო“ ინგლისის „ტოტენჰემს“ ხვდება.

პირველ მატჩს, რომელიც 28 ნოემბერს გაიმართება, საქართველოს დედაქალაქი უმასპინძლებს. ამ პასუხსაგები შეხვედრისათვის მზადებას ჩვენი ფეხბურთელები ბელგრადში მოპოვებული გამარჯვებისთანავე შეუდგნენ. სამზადისის ერთ-ერთი ეტაპი იყო თურქეთში გამართული ორი მატჩი, სადაც დინამოს სპარინგ-პარტნიორი ამ ქვეყნის ყველაზე პოპულარული და ყველაზე ძველი გუნდი „ბეშიქტაში“ გახლდათ. მოწინააღმდეგენი ერთმანეთს ორჯერ შეხვდნენ. ანკარაში მატჩი ფრედ — 0:0 დამთავრდა, სტამბულში გამართული შეხვედრა კი, რომელსაც 25 ათასი მაყურებელი დაესწრო, თბილისელებმა მოიგეს. ერთადერთი ბურთი, რომელმაც მატჩის ბედი გადაწყვიტა, თამაშის 65-ე წუთზე დათო ყიფიანმა გაიტანა.

თურქეთის პრესამ მაღალი შეფასება მისცა თბილისელთა თამაშს, სპორტულ ჟურნალისტთა ასოციაციის პრეზიდენტმა ბ-მა **ნეჯადმ კი**, რომლის მიწვევითაც ქართველი ფეხბურთელები თურქეთში ჩავიდნენ, ჩვენს ბიჭებს მადლობა გადაუხადა ლამაზი ფეხბურთის ჩვენებისათვის. ამჟამად გადაწყდა, რომ „ბეშიქტაში“ გასამად საქართველოს ეწვევა.

განსახილველად წარუდგინეს უეფა-ს

გუნდები, რომლებიც „სხვებზე მეტ წარმატებას აღწევენ და უფრო შინაარსიან ფეხბურთს თამაშობენ საერთაშორისო შეხვედრაში“, ევროპის ჩემპიონთა საფეხბურთო ლიგაში უნდა გაერთიანდნენ და პირველობა უნდა გაითამაშონ. — ესეთი წინადადება წამოაყენა დასავლეთ გერმანიის სასპორტო ყოველკვირეულმა „კიკერმა“.

„ევროპის ჩემპიონსი საფეხბურთო ლიგის“ შექმნის პროექტში, რომელიც განსახილველად წარუდგინეს უეფა-ს, შეყვანილი არიან ცნობილი საფეხბურთო გუნდები: ჰოლანდიის „აიაქსი“, შოტლანდიის „სელტიკი“, იტალიის „მილანი“, პორტუგალიის „ბენფიკა“, ესპანეთის „რეალი“, გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის „ბაიერი“ და სხვები. საბჭოთა ჯგუფიდან დასახელებულია ორი გუნდი — თბილისისა და მოსკოვის „დინამოები“.

ჰ ი დ ა კ ო გ ა

ევროპის ქვეყნების ჩემპიონთა თასზე

თბილისის „დინამოს“ კლასიკური სტილის მოჭიდავეები ევროპის ქვეყნების ჩემპიონთა თასის გათამაშების ფინალში იასპარეზებენ. ეს ცნობილი გახდა მას შემდეგ, რაც ქართველმა ფალავნებმა თანმიმდევრულად დაამარცხეს ფინეთის „ვირკიასა“ და იტალიის „ფიატის“ მოჭიდავეები.

ფინალური შეხვედრები იუგოსლავიაში გაიმართება.

მეორე ადგილზე

სპორტის მოყვარულთა დიდი ინტერესი გამოიწვია სსრ კავშირის თასის გათამაშებამ თავისუფალ ჭიდაობაში.

ფინალში, როგორც მოსალოდნელი იყო, ერთმანეთის პირისპირ წარსდგნენ საქართველოსა და რუსეთის ფედერაციის ფალავნები. ღირსეულ მეტოქეთა ჭიდილში გამარჯვება რუსეთის ფედერაციის წარმომადგენლებს ხვდათ. ჩვენი გუნდი მეორე ადგილზეა, მესამე ადგილზე კი ასპარეზობის მასპინძლები — უკრაინელი მოჭიდავეები გამოვიდნენ...

ტანვარჯიშში

კვლავ რუსუდანი

წარმატებით გამოდის წლეულს სხვადასხვა რანგის შეჯიბრებებში ბათუმელი ტანმოვარჯიშე რუსუდან სიხარულიძე. ამას წინათ დონის როსტოვში გამართულ სსრ კავშირის, გდრ-ის, უნგრეთისა და ჩეხოსლოვაკიის ტანმოვარჯიშეთა საერთაშორისო შეხვედრაში მან მეორე საპრიზო ადგილი დაისაკუთრა.

თბილისელ მოსწავლეთა გამარჯვება

კიშინიოვში დამთავრდა მოსწავლეთა VI საკავშირო შეჯიბრება სპორტულ ტანვარჯიშში. საუკეთესოდ იასპარეზა თბილისის მე-18 საშუალო სკოლის მეათეკლასელმა, ოსტატობის კანდიდატმა **ვახტანგ კევლიშვილმა**, რომელმაც მრავალჭიდში მოაგროვა 111,45 ქულა. გოგონებში სპორტის ოსტატთა შორის უძლიერესი იყო მისი თანაგუნდელი — მე-10 საშუალო სკოლის X კლასის მოსწავლე **ია მუზაშვილი** — 78,85, გუნდურ ჩათვლაში თბილისელები გამოვიდნენ მეორე ადგილზე მასპინძლების შემდეგ.

დაგეძებენ, მოგელიან

ვანო პავლეს ძე პაპოშვილს,

დაბადებულს 1908 წელს გურჯაანის რაიონის სოფელ კალაურში, ეძებენ მეუღლე — **ანა**, და — **თამარი**, შვილი — **ჯუმბერი**, რძალი — **ნანა**, შვილიშვილი — **ვანიკო პაპოშვილები**, მცხოვრებნი თბილისში, დიღმის მასივი, V კვარტალი, 24-ე კორპუსი, ბინა 25.

რამიზ ჰუსეინის ძე ჟიჟავაძეს,

დაბადებულს 1920 წელს ქობულეთის რაიონის სოფელ ხუცუბანში, ეძებენ მამა — **ჰუსეინი**, დედა — **აიშე**, მეუღლე — **ნაზი**, შვილები — **ნოდარ, მემედ**, დები — **ფადიმე, გულიკო, მერი**, ძმა — **დურსუნ ჟიჟავაძეები**, მცხოვრებნი სოფელ ხუცუბანში.

იასონ (ბიჭიკო) იასონის ძე ქავქავარაძეს,

დაბადებულს 1920 წელს მახარაძის რაიონის სოფელ ნატანები-დონაურში, ეძებენ მამა — **იასონი**, დები — **ანეტა, ქეთო**, დარიკო, მარო, ზინა, დისწულები — **ნორა, ჟორა, ანზორ, ზაურ, მედიკო**, მცხოვრებნი სოფელ ნატანები-დონაურში.

ნოე ივანეს ძე პავლიაშვილს,

დაბადებულს 1920 წელს ქალაქ დუშეთში, ეძებენ დედა — **სოფიო**, ძმა — **შოთა**, და — **ეთერ პავლიაშვილები**, მცხოვრებნი ქალაქ დუშეთში, ჭავჭავაძის ქუჩა № 23.

ილამაზ ქავზაის ძე თამლიანს,

დაბადებულს 1917 წელს მესტიის რაიონის სოფელ ლატალში, ეძებენ დედა — **კესა**, შვილი — **ანეტა**, და — **სარმახან თამლიანები**, მცხოვრებნი სოფელ ლატალში.

პავლე იაკინთის ძე ჟღენტს,

დაბადებულს 1914 წელს ზესტაფონის რაიონის სოფელ ცხრაწყაროში, ეძებენ დედა — **ლიუბა**, მამა — **იაკინთე**, შვილი — **ნინო**, მეუღლე — **მარგალიტა მაჭავარიანი**, მცხოვრები, თბილისში, ვაჟა-ფშაველას გამზირი, მესამე კვარტალი, 27ა კორპუსი, II სადარბაზო, ბინა 25.

ვახტანგ ილიას ძე ნიჭარაძეს,

დაბადებულს 1919 წელს წყალტუბოს რაიონის სოფელ მაღლაკში, ეძებენ დედა — **ნინო**, მამა — **ილია**, ძმები — **ოთარ, ავთანდილ, ჯემალ, ბარნაბ ნიუარაძეები**, მცხოვრებნი სოფელ მაღლაკში.

ბაგრატ ვლადიმერის ძე დიდიძეს,

დაბადებულს 1913 წელს სამტრედიის რაიონის სოფელ დიდ ჯიხაიშში, ეძებენ დები — **ვენერა** და **თამარი** ოჯახებით, მცხოვრებნი ქალაქ რუსთავში, მეგობრობის გამზირი № 26, ბინა 15.


დულა ვლადიმერის ძე ბოჭორიშვილს,

დაბადებულს 1920 წელს თერჯოლის რაიონის (ყორფილი ჩხარის) სოფელ თერჯოლაში, ეძებენ დედა — **ფოტინე**, ძმები — **ლევანი, სოსო**, დები — **თამარი, გულნარა, ვენერა ბოჭორიშვილები**, მცხოვრებნი სოფელ თერჯოლაში.

ანტონ ერმილეს ძე მუკბანიანს,

დაბადებულს 1919 წელს ქვემო სვანეთის რაიონის ჩოლურის სასოფლო საბჭოს სოფელ ბულეში, ეძებენ დედა — **ედუკი**, ძმები — **კირილე** და **ევგენ მუკბანიანები**, მცხოვრებნი სოფელ ბულეში.

ილია ყაისარის ძე თავაძე



ქართული კულტურის მოღვაწეებმა და რესპუბლიკის უმაღლესმა სკოლამ მძიმე დანაკლისი განიცადეს — გარდაიცვალა თვალსაჩინო მეცნიერი და საზოგადო მოღვაწე, სკკპ წევრი 1931 წლიდან, საქართველოს სსრ მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე, საქართველოს რუსთაველის სახელობის სახელმწიფო თეატრალური ინსტიტუტის რექტორი, ფილოსოფიურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი ილია ყაისარის ძე თავაძე.

ილია ყაისარის ძე თავაძე დაიბადა 1905 წელს ოზურგეთის მაზრის (ამჟამად მახარაძის რაიონის) სოფელ ნატანებში.

ოზურგეთის ჰუმანიტარული ტექნიკუმის დამთავრების შემდეგ 1924 წელს ილია თავაძემ მუშაობა დაიწყო ქედის, ხოლო შემდეგ ქობულეთის სამაზრო პოლიტგანათლების განყოფილების გამგედ. 1928 წელს პარტიის აჭარის საოლქო კომიტეტმა იგი გაგზავნა მოსკოვის მე-2 სახელმწიფო უნივერსიტეტში, სადაც სწავლობდა პედაგოგიური ფაკულტეტის ფილოსოფიურ განყოფილებაზე, ხოლო შემდეგ შევიდა მოსკოვის ისტორიის, ფილოსოფიისა და ლიტერატურის ინსტიტუტის ასპირანტურაში, რომელიც 1933 წელს დაამთავრა. იმავე წელს გაგზავნეს სამუშაოდ საგარეჯოს მტს-ის პოლიტგანყოფილების გაზეთის რედაქტორად. 1935 წელს ილია თავაძე გადაიყვანეს პარტიის ჭიათურის რაიკომის პროპაგანდისა და აგიტაციის განყოფილების გამგედ. 1936 წელს დაინიშნა საქართველოს კპ ცკ-ის პროპაგანდისა და აგიტაციის განყოფილების ინსტრუქტორად, ერთი წლის შემდეგ კი ცენტრალური კომიტეტის მდივნის თანაშემწედ. 1937 წლის ნოემბერში ირჩევენ პარტიის ბორჩალოს რაიკომის პირველ მდივნად, ხოლო 1938 წლის ნოემბერში — საქართველოს კპ ცკ-ის მდივნად პროპაგანდისა და აგიტაციის დარგში. ამავე წლებში შეთავსებით ასრულებდა მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტის საქართველოს ფილიალის დირექტორის, ჟურნალ „ბოლშევიკის“ რედაქტორისა და თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მარქსიზმ-ლენინიზმის კათედრის გამგის მოვალეობებს.

1943 წლის აგვისტოდან 1946 წლის თებერვლამდე ილია თავაძე მუშაობდა საქართველოს სსრ სახელმწიფო კონტროლის სახალხო კომისრად. 1946 წლის თებერვალში გაიგზავნა სამუშაოდ პარიზში სსრ კავშირის საელჩოს პირველ მდივნად, სადაც იმუშავა 1949 წლის იანვრამდე. საფრანგეთიდან დაბრუნების შემდეგ ილია თავაძე მუშაობდა სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტროში პრესის განყოფილების გამგის მოადგილის თანამდებობაზე. 1951 წელს დაინიშნა საბჭოთა კავშირის ელჩად სირიასა და ლიბანში. 1953 წელს იგი ბრუნდება საქართველოში და მუშაობას იწყებს ქართული 3-წლიანი პარტიული სკოლის დირექტორად, ხოლო 1955 წლიდან სიცოცხლის უკანასკნელ დღეებამდე მისი მოღვაწეობა მჭიდროდ იყო დაკავშირებული თბილისის რუსთაველის სახელობის სახელმწიფო თეატრალურ ინსტიტუტთან.

ილია თავაძემ ბევრი რამ გააკეთა მსახიობთა, რეჟისორთა, თეატრმცოდნეთა რამდენიმე თაობის აღზრდის საქმეში, რომლებიც წარმატებით მუშაობენ რესპუბლიკის თეატრებში, კინოსტუდიაში, რადიოსა და ტელევიზიაში, კულტურის სხვა დაწესებულებებში.

ილია თავაძე უდიდეს ყურადღებას უთმობდა ახალგაზრდობის ინტერნაციონალური აღზრდას, შემოქმედებითი კადრების მომზადებას რესპუბლიკის რუსული თეატრებისათვის, აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის თეატრებისათვის, აგრეთვე ჩრდილოეთ კავკასიის ავტონომიური რესპუბლიკებისა და ოლქებისათვის.

ილია თავაძე იყო საქართველოს სსრ პირველი მოწვევის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი, საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის წევრი (1938-1948 წწ.), პირველთაგანი იყო არჩეული თბილისის საქალაქო საბჭოს დეპუტატად. უკანასკნელ წლებში იყო საქართველოს კპ თბილისის კომიტეტის წევრი.

ილია თავაძე დიდ საზოგადოებრივ მუშაობას ეწეოდა. იგი იყო საზოგადოება „ცოდნის“ თბილისის საქალაქო ორგანიზაციის პრეზიდიუმის წევრი, საზოგადოება „ცოდნის“ ჯალინინის რაიონის ორგანიზაციის პრეზიდიუმის თავმჯდომარე. საქართველოს თეატრალური საზოგადოების პრეზიდიუმის წევრი.

ილია თავაძის ნაყოფიერი პარტიული, სახელმწიფოებრივი, მეცნიერულ-პედაგოგიური მოღვაწეობა ხმარდებოდა პარტიას, ხალხს. ყველასათვის, ვინც მას იცნობდა, იგი მაღალი პრინციპულობის, თავმდაბლობისა და შრომისმოყვარეობის მაგალითი იყო.

პროფესორ ილია თავაძის დამსახურება დიდად დაფასეს პარტიამ და მთავრობამ. იგი დაჯილდოებული იყო შრომის წითელი დროშის ორდენით, „საპატიო ნიშნის“ ორდენით, მედლებით.

ილია თავაძის, უმაღლესი სკოლის ერთ-ერთი გამოცდილი ხელმძღვანელის, მეცნიერის სახელი სამუდამოდ დარჩება მისი მრავალრიცხოვანი მეგობრებისა და ამხანაგების ხსოვნაში.

რედაქტორი გივი კარბელაშვილი

ჩვენი მისამართი: გაზეთ „სამშობლოს“ რედაქცია — თბილისი 8, რუსთაველის გამზირი № 42. ტელეფონები: 93-68-44, 93-56-25.

უცხოეთში მცხოვრებ თანამემამულეებთან კულტურული კავშირის საქართველოს საზოგადოება — თბილისი 26, ათონელის ქუჩა № 25.